სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური

დირექტორის

ბრძანება № 49

2013 წლის 06 სექტემბერი

ქ. თბილისი

2013 წლის სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ან/და სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამების შესაძენად, უსასყიდლოდ გადმოცემული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის უცხოეთიდან ტრანსპორტირებისა და არსებული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ფუნქციური გაუმჯობესების ან/და სათადარიგო ნაწილების შესყიდვისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამისა და მასში მონაწილეობის პირობებისა და საკონკურსო ფორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 23 ივნისის „სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ან/და სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამების შესაძენად, უსასყიდლოდ გადმოცემული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის უცხოეთიდან ტრანსპორტირებისა და არსებული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ფუნქციური გაუმჯობესების ან/და სათადარიგო ნაწილების შესყიდვისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის გაცემის წესისა და საგრანტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ N119 დადგენილებით დამტკიცებული „სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ან/და სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამების შესაძენად, უსასყიდლოდ გადმოცემული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის უცხოეთიდან ტრანსპორტირებისა და არსებული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ფუნქციური გაუმჯობესების ან/და სათადარიგო ნაწილების შესყიდვისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის გაცემის წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „ე“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2013 წლის „სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ან/და სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამების შესაძენად, უსასყიდლოდ

გადმოცემული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის უცხოეთიდან ტრანსპორტირებისა და არსებული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ფუნქციური გაუმჯობესების ან/და სათადარიგო ნაწილების შესყიდვისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის გაცემის კონკურსი (შემდგომში - კონკურსი);

2. კონკურსში ელექტრონული რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს 2013 წლის 15 სექტემბრიდან 2013 წლის 10 ნოემბრის 24.00 სთ-მდე; მონაწილეობის შესახებ განცხადების ფონდში წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2013 წლის 13 ნოემბერი, 18:00 საათი;
3. დამტკიცდეს კონკურსის პროგრამა და მასში მონაწილეობის პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს განცხადების ფორმა კონკურსში მონაწილეობის შესახებ ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს „საპროექტო წინადადების“ ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს „პროექტის ბიუჯეტი“-ს ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს „მონაცემები ორგანიზაციის შესახებ“ ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად
8. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.
9. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

სულხან სისაური